



# შემაჯავებელი ანგარიში აგვისტო - დეკემბერი 2025



# საერთაშორისო პრეზენტაცია

## • დაცა მარაინი

22-25 ოქტომბერს მწერალთა სახლის მოწვევით და საქართველოში იტალიის რესპუბლიკის საელჩოს მხარდაჭერით, ჩვენს ქვეყანას ესტუმრება საყოველთაოდ აღიარებული იტალიელი პროზაიკოსი, პოეტი, დრამატურგი, რეჟისორი, სცენარისტი, პუბლიცისტი, კინოდოკუმენტალისტი, ჟურნალისტი და მთარგმნელი - დაცა მარაინი.

23 ოქტომბერს 18:30 საათზე მწერალთა სახლში დაცა მარაინი მთარგმნელ ნუნუ გელაძესთან ერთად წარადგენს წიგნს „წერის სიყვარული“, ისაუბრებს კითხვის, წერის, მთარგმნის ხელოვნებაზე, საკუთარ და წიგნში წარმოდგენილი ავტორების გამოცდილებაზე.



## • დარია მარაინი

მწერალთა სახლში მსოფლიოში ცნობილ იტალიელ მწერალ, დრამატურგ და სცენარისტ დარია მარაინისთან შეხვედრა გაიმართა.



## • მუზა - 2025

მწერალთა სახლში გაიმართა ლიტერატურული პრემია „მუზას“ დაჯილდოების ცერემონია.

გამარჯვებულები გამოვლინდნენ შემდეგ საკონკურსო ნომინაციებში:

- ნომინაცია – წლის საუკეთესო რომანი  
თეა კბილაშვილი – „გარდაცვალება გაღვიძებამდე“  
(გამომცემლობა „მწიგნობარი“)
- ნომინაცია – წლის საუკეთესო პროზაული კრებული  
ცირა ყურაშვილი – „მეწამული მაგნოლია“  
(გამომცემლობა „მერიდიანი“)
- ნომინაცია – წლის საუკეთესო პოეტური კრებული  
ლია სტურუა – პოეზია  
(„შორენა შავერდაშვილის გამომცემლობა“)
- ნომინაცია – წლის საუკეთესო დოკუმენტური პროზა/ესე  
ლევან ბრეგაძე – „განრიდება“  
(პუბლიკაცია – „ლიტერატურული გაზეთი“)
- ნომინაცია – წლის საუკეთესო დებიუტი (ადმოჩენა)  
ლაშა ბაბილუა – „განგაშის იავნანა“  
(გამომცემლობა „კალმოსანი“)
- ნომინაცია – წლის საუკეთესო თარგმანი  
რუსუდან ღვინეფაძე – ელიას კანეტი, „დაბრმავება“  
(გამომცემლობა „სიესტა“)
- ნომინაცია – წლის საუკეთესო კრიტიკა/რეცენზია  
ამირან გომართელი – „დაფარულსა გავაცხადებ“  
(გამომცემლობა „უნივერსალი“)

- ნომინაცია – წლის საუკეთესო პიესა/ინსცენირება  
ნინია სადღობელაშვილი – „ფსიქოტროპი“  
(„შორენა შავერდაშვილის გამომცემლობა“)
- ზურაბ კანდელაკი – ორი პიესა  
(გამომცემლობა Leonardo)
- ნომინაცია – წლის საუკეთესო ინოვაციური ლიტერატურული პროექტი  
ნანა ყაულაშვილი – „ამბავს გეტყვი“  
(გამომცემლობა „სეზანი“)
- ნომინაცია – „ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილი“ ტარიელ ხარხელაური
- სიმბოლურად, „მუზა“ გადაეცა მუსიკოსსა და მწერალს მანანა მენაბდეს (1948-2025), ავტობიოგრაფიული რომანისთვის „ფრენის დღე - ორშაბათი“ („შორენა შავერდაშვილის გამომცემლობა“).

• მუზა - 2025





## • „უცნობი ქართული ხელნაწერები ნეაპოლში“

მწერალთა სახლისა და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლები პროექტის „უცნობი ქართული ხელნაწერები ნეაპოლში“ ფარგლებში იტალიის ქალაქ ნეაპოლს სტუმრობენ.

პროექტი „უცნობი ქართული ხელნაწერები ნეაპოლში“ გახლავთ ერთგვარი გაგრძელება 2023 წელს კულტურის სამინისტროს დაფინანსებით არსებული პროექტის „ცოცხალი წიგნები“ ფარგლებში გადაღებული დოკუმენტური ფილმისა, რომელიც დოკუმენტალისტ თამარ მახარაძის მიერ ნეაპოლის ბიბლიოთეკაში მოძიებულ, ფართო საზოგადოებისათვის უცნობ ქართულ კოლექციას ეძღვნებოდა.


აღნიშნული კოლექცია საქართველოში იტალიელ მისიონერთა ბოლო თაობის წარმომადგენელს, ბერნარდე ნეაპოლელს ეკუთვნოდა. ის გახლავთ მეჩვიდმეტე საუკუნის მოღვაწე. საქართველოში ცხრანობიანი სამისიონერო საქმიანობის შემდეგ ბერნარდე ნეაპოლელი მშობლიურ ნეაპოლში დაბრუნდა და კაპუცინთა ორდენის კუთვნილი მონასტრის წინამძღვარი გახდა. სწორედ ამ მონასტერში 1906 წელს ცნობილმა ავსტრიელმა ქართველოლოგმა ჰუგო შუხარტმა აღმოაჩინა მისი წიგნებისა და ხელნაწერების კოლექცია, რომელიც მოიცავდა უნიკალურ მასალას საქართველოზე და არაერთ უმნიშვნელოვანეს რელიგიურ ლიტერატურასთან, ისტორიულ დოკუმენტთან და პირად მიმოწერასთან ერთად, იყო ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორისტიკისათვის უმნიშვნელოვანესი კრებული, კერძოდ ბერნარდე ნეაპოლელის მიერ საქართველოში ჩაწერილი 12 ხალხური ზღაპარი.

ეს გახლავთ ქართული ფოლკლორისტიკის ნიმუშების შეგროვებისა და ჩაწერის პირველი შემთხვევა. საქართველოში ეს პროცესი ორი საუკუნის შემდეგ დაიწყო.

პროექტის „ცოცხალი წიგნები“ ფარგლებში გადამღები ჯგუფის იტალიაში ყოფნისას, ჯგუფის ხელმძღვანელს ქეთევან დუმბაძეს გაუჩნდა ბერნარდე ნეაპოლელის ქართული კოლექციის ციფრულ მატარებლებზე გადატანის იდეა, რათა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას ჰქონდეს ამ უნიკალური მასალების ციფრული ვერსიები. ასევე მნიშვნელოვანია წიგნად გამოიცეს ამ კოლექციის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილი, რათა ქართულ ლიტერატურას არ დაეკარგოს უძველესი ქართული ზღაპრები.

ორწლიანი მოლაპარაკებების შედეგად იტალიურმა მხარემ მზადყოფნა გამოთქვა თანამშრომლობისათვის.

- „უცნობი ქართული ხელნაწერები ნეაპოლში“



## • „უცნობი ქართული ხელნაწერები ნეაპოლში“

მწერალთა სახლისა და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტის „უცნობი ქართული ხელნაწერები ნეაპოლში“ ფარგლებში ბერნარდე ნეაპოლელის ყველა ხელნაწერი თუ წიგნი, რომელიც ქართულ კოლექციას მოიცავს, დღეისათვის უკვე გაციფრულებულია და მასალები საქართველოს გადმოეცა.

სწორედ ამ ხელნაწერებისა და წიგნების შესახებაა დოკუმენტალისტ თამარ მახარაძის მიერ ბერნარდე ნეაპოლელზე გადაღებული ფილმი, რომლის პრემიერა 7 ოქტომბერს ნეაპოლის ბიბლიოთეკაში გაიმართა.

ფილმმა დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრე აუდიტორიაში.

ფედერიკო მეორის სახელობის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ლუიჯი მონდომ, ბერნარდე ნეაპოლელზე გადაღებული ფილმის ჩვენების შემდეგ აღფრთოვანება ვერ დამალა გადაღებისთვის გაწეული შრომისა და მონდომების გამო. ლუიჯი მონდომ განაცხადა, რომ ამ ფილმის ნახვის შემდეგ მან, სხვებთან ერთად, აღმოაჩინა საკუთარი ქვეყნის ისტორიის ის მონაკვეთი, რომელსაც აქამდე არ იცნობდნენ, ახლა კი ქართველების მეშვეობით ეზიარნენ.

საღამოზე ასევე დაიგეგმა იმ ქართული ზღაპრების გამოცემა, რომელიც ბერნარდე ნეაპოლელის ხელნაწერებში იქნა აღმოჩენილი.

დაიბეჭდება ორი წიგნი, რომლებიც მოიცავს მის ხელნაწერებსა და ისტორიულ ზღაპრებს, აქამდე უცნობს ქართული საზოგადოებისთვის.

პროექტს მხარს უჭერს საქართველოს კულტურის სამინისტრო, ხოლო ეროვნული ბიბლიოთეკისათვის ეს თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობისა და ისტორიული არქივების გაზიარების გამო, რაც დიდ კულტურულ და ისტორიულ მნიშვნელობას ატარებს ორივე ქვეყნისთვის.

თანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ნეაპოლის სამეფო ბიბლიოთეკას შორის ხელი მოაწერეს ნეაპოლის სამეფო ბიბლიოთეკის დირექტორმა სილვია შიპიონიმ და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილემ, მირიან ხოსიტაშვილმა.

## • „უცნობი ქართული ხელნაწერები ნეაკოლში“

8 ოქტომბერს იტალიაში მწერალთა სახლისა და ეროვნული ბიბლიოთეკის დელეგაციის შეხვედრა გაიმართა საქართველოს საელჩოში წმინდა საყდართან.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი, მწერალთა სახლის დირექტორი ქეთევან დუმბაძე. კინოდოკუმენტალისტი თამარ მახარაძე, შემოქმედებით ჯგუფთან ერთად და ქართული დელეგაციის სხვა წევრები.

საქართველოს ელჩმა წმინდა საყდართან დავით მექვაბიშვილმა და სტუმრებმა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელეს. შეხვედრის მთავარი თემა გახლდათ საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ვატიკანის ბიბლიოთეკის „აპოსტოლიკას“ შორის გაფორმებული მემორანდუმი, რომლის ფარგლებში იწყება აქტიური თანამშრომლობა ვატიკანის ბიბლიოთეკაში დაცული ქართული დოკუმენტების, ასევე პროპაგანდა ფიდესა და რუსიკუმის არქივებში არსებული ქართული მასალის კატალოგიზაციის მიმართულებით.





# ფესტივალები

## • ბუქარესტის პოეზიის საერთაშორისო ფესტივალი

საქართველოს მწერალთა სახლი რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში პოეზიის XV საერთაშორისო ფესტივალზეა მიწვეული, რომელიც 15-21 სექტემბერს ჩატარდება.

ფესტივალის ორგანიზატორის – რუმინეთის ლიტერატურის ეროვნული მუზეუმის, მიერ თანამშრომლობის შეთავაზებას საქართველოს მწერალთა სახლმა არაერთი ინიციატივით უპასუხა.

შეგახსენებთ, რომ ქართული დელეგაცია გახსნის ცერემონიაზე საპატიო სტუმრის სტატუსით მონაწილეობს. სადამო კაროლ პირველის სახელობის ცენტრალური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საკონცერტო დარბაზში იმართება. პუბლიკის წინაშე გახსნითი სიტყვით გამოდიან: რუმინეთის ლიტერატურის ეროვნული მუზეუმის მმართველი, რუმინეთის აკადემიის პრეზიდენტი, ცენტრალური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, კოლუმბიის ელჩი რუმინეთში, ბუქარესტში იტალიის კულტურის ინსტიტუტის დირექტორი, სერვანტესის ინსტიტუტის დირექტორი, რუმინეთის მწერალთა კავშირის პრეზიდენტი.



## • ბუქარესტის პოეზიის საერთაშორისო ფესტივალი

გახსნის საღამოს შემდეგ, ბუქარესტის პოეზიის საერთაშორისო ფესტივალზე ქართული დელეგაციის 16 სექტემბრის პროგრამას წარმოგიდგენთ:

▪ ღონისძიება საქართველოს ლიტერატურის მუზეუმისა და მწერალთა სახლის პრეზენტაციებით დაიწყება. შესავალი სიტყვით მიმართვის გარდა, მწერალთა სახლი დამსწრე აუდიტორიას საერთაშორისო პროგრამებს წარუდგენს.

### Evening of Georgian poetry

**5 p. m.** NMRL garden, Nicolae Crețulescu street no. 8

**Guests:** Ms. Ketevan Dumbadze, director of The Writers' House of Georgia, Ms. Tamta Khelaya, coordinator of International Projects, Ms. Tea Tvalavadze, director of The Museum of Georgian Literature, Mrs. Varujan Vosganian, president of The Romanian Writers Union.

**Presentation of The Museum of Georgian Literature**

**Presentation of the international programs of the Writers House of Georgia**

**Public readings: Giorgi Balakhashvili and Miranda Eristavi (Georgia)**

**The signing ceremony of the partnership agreement** between The National Museum of Romanian Literature, The Museum of Georgian Literature, The Writers' House of Georgia and The Romanian Writers' Union

*Event organized in partnership with The Embassy of Georgia in Romania, The Writers' House of Georgia, The Museum of Georgian Literature, The Romanian Writers' Union*

*The event will take place in English 🇬🇧 and Romanian 🇷🇴 (consecutive translation).*


# • ბუქარესტის პოეზიის საერთაშორისო ფესტივალი

ბუქარესტის დღიურები



## • ბუქარესტის პოეზიის საერთაშორისო ფესტივალი

რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში, სადაც საქართველოს მწერალთა სახლი პოეზიის საერთაშორისო ფესტივალზე საპატიო სტუმრად არის მიწვეული, ქართული პოეზიის სადამოს შემდეგ, ოთხი ორგანიზაციის – საქართველოს მწერალთა სახლის, ქართული ლიტერატურის მუზეუმის, რუმინეთის ლიტერატურის ეროვნული მუზეუმისა და რუმინეთის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს თანამშრომლობის ოთხმხრივ მემორანდუმს, რომელიც საქართველოსა და რუმინეთის ლიტერატურული გაცვლისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობას და ამ მიზნით სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას მოიაზრებს.



## • ბუქარესტის პოეზიის საერთაშორისო ფესტივალი

17 სექტემბერს, კაროლ პირველის სახელობის ცენტრალური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დარბაზში, პანელური დისკუსია „ანთიმოზ ივერიელი“ გაიმართა.

შეხვედრა ფესტივალის ორგანიზატორმა და მასპინძელმა, რუმინეთის ლიტერატურის ეროვნული მუზეუმის დირექტორმა იოან კრისტესტკუმ გახსნა.

პანელის პირველი მომხსენებელი საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუმინეთში თამარ ბერუჩაშვილი იყო. მან ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებისა და შემოქმედების ასპექტებზე ისაუბრა. წელს ანთიმოზ ივერიელის დაბადებიდან 375 წელი აღინიშნება. ანთიმოზ ივერიელი რუმინულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. თამარ ბერუჩაშვილმა საუბარი ანთიმოზ ივერიელის ქართულენოვანი ლექსის სტროფით დაასრულა.

შემდეგი გამომსვლელი იყო გეორგ ჩივუ – რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ფილოლოგი და ლინგვისტი, რომელმაც ანთიმოზ ივერიელის შრომები სამეცნიერო განზომილებიდან დეტალური მაგალითებით აღწერა.

მომდევნო მომხსენებელი არქიმანდრიტი პოლიკარპი გახლდათ, რომელმაც ანთიმოზ ივერიელის მიერ ბიბლიის რუმინულ ენაზე თარგმანის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ამ თარგმანებმა დიდი როლი შეასრულა როგორც რუმინული ღვთისმსახურების, ისე ენობრივი თვალსაზრისით.

შემდგომი მომხსენებელი გახლდათ ლაურა ბადესკუ ოპრესკუს სახელობის ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორი, რომელმაც ანთიმოზ ივერიელის პოეტურ შემოქმედებაზე და სპეციფიკაზე, ლექსწყობასა და სალექსო მარცვალზე, ლექსის სტრუქტურაზე ისაუბრა. ასევე, მის გავლენასა და ნოვატორულ სტილზე იმ პერიოდის რუმინულ ლიტერატურაში.

## • ბაქოს საერთაშორისო წიგნის ბაზრობა

პირველ ოქტომბერს, ბაქოს საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე საქართველოს ეროვნული სტენდი გაიხსნა, სადაც სტუმრებს ქართული ღვინითა და მრავალფეროვანი ლიტერატურული პროგრამით უმასპინძლეს.

სტენდზე საკუთარი წიგნები წარმოადგინეს მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმმა, გამომცემლობა „მერიდიანმა“, „შორენა შავერდაშვილის გამომცემლობამ“, „მერანმა“, „წიგნი+ერმა“. ასევე, გამოიფინა მწერალთა სახლისა და კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით გამოცემული წიგნები და ეროვნული ბიბლიოთეკის გამოცემები.

13:00 საათზე გაიმართა მწერალთა სახლის წარმომადგენლების შეხვედრა აზერბაიჯანელ გამომცემლებთან, მთარგმნელებთან და ავტორებთან.

საქართველოს სტენდს სხვა სტუმრებთან ერთად ესტუმრნენ: ისა ჰაბიბბეილი – აზერბაიჯანის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, ფარიდ ჯაფაროვი – აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე, ფოლად ბუღბულოღლუ – ცნობილი აზერბაიჯანელი მომღერალი და კულტურის მოღვაწე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, ჩინგიზ აბდულაევი – ცნობილი აზერბაიჯანელი მწერალი.

14:00 საათზე გაიმართება მწერალთა სახლის ხელშეწყობით გამოცემული „თანამედროვე ქართული პროზის ანთოლოგიის“ პრეზენტაცია (გამომცემლობა Alatoran), სადაც ოცი თანამედროვე ავტორის ნაწარმოებია გაერთიანებული. ანთოლოგიის შესახებ ისაუბრებს მთარგმნელი იმირ მამმედლი.

# • ბაქოს საერთაშორისო წიგნის ბაზრობა



## • ბაქოს საერთაშორისო წიგნის ბაზრობა

შეხვედრა აზერბაიჯანელ გამომცემლებთან

ბაქოს საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე გაიმართა მწერალთა სახლის მთარგმნელობითი და საერთაშორისო პროგრამების პრეზენტაცია.

საგრანტო ინიციატივები აზერბაიჯანელ გამომცემლებს, ავტორებსა და მთარგმნელებს აძლევს შესაძლებლობას, გაააქტიურონ ლიტერატურული ურთიერთობები საქართველოსთან. შეხვედრის ფარგლებში შედგა საქმიანი მოლაპარაკებები და გამოიკვეთა ახალი ერთობლივი პროექტების პერსპექტივა.

პროგრამების წარდგენის შემდეგ გაიმართა მწერალთა სახლის ხელშეწყობით გამოცემული „თანამედროვე ქართული პროზის ანთოლოგიის“ პრეზენტაცია (გამომცემლობა Alatoran), სადაც ოცი თანამედროვე ქართველი ავტორის ნაწარმოებია თავმოყრილი. ანთოლოგიის შესახებ ისაუბრა მთარგმნელმა იმირ მამმედლიმ.



## • ბაქოს საერთაშორისო წიგნის ბაზრობა

შედგა მწერალთა სახლის წარმომადგენლების შეხვედრა აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან, ანართან (ანარ რზაევი).

შეხვედრაზე განიხილეს ქართულ-აზერბაიჯანული ერთობლივი თანამშრომლობის შესაძლებლობები, ორი უმდიდრესი ლიტერატურული მემკვიდრეობის მქონე ქვეყნის კოლაბორაციის პოტენციალი და პერსპექტივა, რომელიც დღევანდელი და მომავალში დაგეგმილი კულტურული ურთიერთობებით გაჩნდება.

ასევე, დაიგეგმა ერლომ ახვლედიანის ნაწარმოებების გამოცემა. წიგნში თავმოყრილი იქნება მწერლის უცნობი წერილები ანარის პირადი არქივიდან.



## • ბაქოს საერთაშორისო წიგნის ბაზრობა

2 ოქტომბერს ბაქოს საერთაშორისო წიგნის ფესტივალზე გაიმართა ღონისძიება „თანამედროვე ქართული პოეზია“, რომლის ფარგლებში მოეწყო ამავე სახელწოდების წიგნის პრეზენტაცია. გამოცემა წარადგინა მთარგმნელმა ალლახვერდი თექლალიმ, ხოლო წიგნი გამოსცა გამომცემლობა Alatoran-მა.

აუდიტორიის წინაშე წარდგნენ გიორგი ლობჯანიძე, ირმა ბერიძე, გიო ზედვაკელი, ერეკლე დეისაძე, ნინუკა ქოიავა, სალომეა ლომინაძე, ნატალია ბეიტრიშვილი და აკაკი გაბრიჭიძე. ქართველმა ავტორებმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები, ისაუბრეს თავიანთი შემოქმედებისა და თანამედროვე ქართული პოეზიის ტენდენციების შესახებ.

ასევე, მწერალთა სახლმა საზოგადოებას წარუდგინა პრემია „მუზა 2024“-ის ორი გამარჯვებული – სალომე ტაბატაძე და მორის როსტიაშვილი, რომელთა ნაწარმოებების აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნა იგეგმება. მათ შემოქმედებაზე სტუმრებს ესაუბრა მთარგმნელი იმირ მამედლი.



## • ბაქოს საერთაშორისო წიგნის ბაზრობა

წიგნის ფესტივალზე მწერალთა სახლის წარმომადგენლებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართეს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარა ახალ კულტურულ თანამშრომლობებს.

ქართული სტენდის სივრცეში გაიმართა შეხვედრები ადგილობრივ მწერლებთან, გამომცემლებთან, ილუსტრატორებთან, ლიტერატურულ აგენტებთან და ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებთან.

განხილულ იქნა ერთობლივი საგამომცემლო პროექტების განხორციელების შესაძლებლობები და პერსპექტივები.

არაერთი მთარგმნელი და მკვლევარი დაინტერესდა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებით, რაც ახალი კვლევითი და მთარგმნელობითი თანამშრომლობის დასაწყისი უნდა გახდეს.

ქართული მხარე ოფიციალურად მიიწვიეს თეირანის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც 2026 წლის მაისში გაიმართება.

ირანის წიგნის ბაზრობის ორგანიზატორებმა საქართველოს შესთავაზეს ეროვნული სტენდის უსასყიდლოდ განთავსება.

თურქეთის წარმომადგენლები განსაკუთრებით დაინტერესდნენ მწერალთა სახლის სარეზიდენციო და მთარგმნელობითი პროგრამებით. შეხვედრამ საფუძველი ჩაუყარა მომავალ კულტურულ თანამშრომლობას ორ ქვეყანას შორის.





# მთარგმნელობითი და სარეზიდენციო პროგრამები

## • კოლონური მთარგმნელობითი და სარეზიდენციო პროექტი

30-31 ოქტომბერს მწერალთა სახლში გაიმართება მთარგმნელობითი და სარეზიდენციო პროექტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პოლონელი ავტორები.

პროგრამის მიზანია ქართველი და პოლონელი მწერლების შემოქმედებითი გამოცდილების გაზიარება და ორ კულტურას შორის ლიტერატურული დიალოგის გაღრმავება.

მთარგმნელობითი შეხვედრების დასრულების შემდეგ, 2 ნოემბერს მწერალთა სახლი უმასპინძლებს ქართველი და პოლონელი ავტორების ერთობლივ შემოქმედებით საღამოს, სადაც მონაწილეები თავიანთ პოეტურ ნაწარმოებებს წარადგენენ.

პროექტის ფარგლებში გამოიცემა ორენოვანი კრებული, რომელშიც მონაწილე ქართველი და პოლონელი ავტორების ლექსები გაერთიანდება.



## • პოლონური მთარგმნელობითი და სარეზიდენციო პროექტი

მწერალთა სახლში მიმდინარეობს ვორქშოპი პოლონელი ავტორების მონაწილეობით.

ვორქშოპში მონაწილეობენ ბარტოშ რადომსკი, იან კერდენი, მაუგოჟატა შიშკო-კონდეი და ჰანა ევა დიდუშკო - პოეტები და საბავშვო მწერლები.

დღევანდელ შეხვედრაზე სტუმრებმა საკუთარი შემოქმედება და ახალი პროექტები წარმოადგინეს. მწერალთა სახლის დირექტორმა, ქეთევან დუმბაძემ, ორ ქვეყანას შორის ლიტერატურული თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი გამოხატა. გარდა ამისა, პოლონელი მხარის ინიციატივით დაისვა საკითხი ქართველი მწერლების მონაწილეობაზე ვარშავისა და გდანსკის ლიტერატურულ ფესტივალებზე. გაცნობითი ხასიათის შეხვედრის შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს მწერალთა სახლის ისტორიული სივრცეები - დავით სარაჭიშვილისა და რეპრესირებულ მწერალთა მუზეუმები.

დღის განმავლობაში პოლონელი ავტორები ჩაერთვებიან მთარგმნელობით და შემოქმედებით სამუშაოებში, რომლებიც ხვალაც გაგრძელდება.

პროგრამის მიზანია ქართველი და პოლონელი მწერლების შემოქმედებითი გამოცდილების გაზიარება და ორ კულტურას შორის ლიტერატურული დიალოგის გაღრმავება.



## • პოლონური მთარგმნელობითი და სარეზიდენციო პროექტი

მწერალთა სახლში გრძელდება ქართულ-პოლონური მთარგმნელობითი შეხვედრა, რომელშიც ქართველი და პოლონელი ავტორები მონაწილეობენ.

2 ნოემბერს, 19:00 საათზე, გაიმართება ქართულ-პოლონური ლიტერატურული საღამო, სადაც სარეზიდენციო და მთარგმნელობითი პროგრამის მონაწილე ავტორები საკუთარ შემოქმედებას მკითხველს წარუდგენენ.

გამოიცემა ორენოვანი კრებული, რომელშიც მონაწილე ავტორების ლექსები იქნება თავმოყრილი.



## • პოლონური მთარგმნელობითი და სარეზიდენციო პროექტი

2 ნოემბერს მწერალთა სახლში ქართულ-პოლონური ლიტერატურული საღამო გაიმართა, სადაც სარეზიდენციო და მთარგმნელობითი პროგრამების მონაწილე ავტორებმა მკითხველს საკუთარი შემოქმედება წარუდგინეს.

საღამო ქართული და პოლონური პოეზიის მრავალფეროვნებისა და საერთო სულიერი თემების აღმოჩენის შესაძლებლობა იყო - სტუმრებმა უკეთ გაიცნეს ორივე ქვეყნის თანამედროვე ლიტერატურული და ავტორების ინდივიდუალური სტილი.

პროექტის ფარგლებში ქართველი და პოლონელი პოეტები, აგრეთვე საბავშვო პროზის ავტორები, ორი დღის განმავლობაში ერთობლივად თარგმნიდნენ პოეტურ ტექსტებს, რაც კულტურათაშორისი დიალოგის და შემოქმედებითი თანამშრომლობის მაგალითად იქცა.

პოლონელმა ავტორებმა გამოხატეს სურვილი, რომ ქართველ მწერლებს მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ვარშავისა და გდანსკის ლიტერატურულ ფესტივალებში.

თბილისში ყოფნის დღეებში სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობები და მწერალთა სახლის ისტორიული სივრცეები - დავით სარაჯიშვილის მემორიალური მუზეუმი და რეპრესირებულ მწერალთა მუზეუმი.

პროექტის ფარგლებში იგეგმება ორენოვანი პოეტური კრებულის გამოცემა, რომელიც მონაწილე ავტორების ლექსებს გააერთიანებს და კიდევ უფრო გააღრმავებს ქართულ-პოლონურ ლიტერატურულ ურთიერთობებს.



## • გერმანული ლიტერატურის დღეები მწერალთა სახლში

გერმანული ლიტერატურის დღეები მწერალთა სახლში –  
შეხვედრები ზაარლანდელ ავტორებთან.

1975 წელს ხელი მოეწერა პარტნიორობისა და თანამშრომლობის  
ხელშეკრულებას ზაარბრიუკენსა და თბილისს შორის.

ჩვენი ქალაქების დამეგობრების 50 წლის საიუბილეო თარიღის  
აღსანიშნავად საქართველოს კულტურის სამინისტროს  
პატრონაჟით 2 და 4 დეკემბერს მწერალთა სახლში გაიმართება  
„გერმანული ლიტერატურის დღეები“ – შეხვედრები ზაარლანდელ  
მწერლებთან და კინოდრამატურგებთან.

თბილისს ესტუმრებიან ცნობილი გერმანელი ავტორები და  
კინოდოკუმენტალისტები: მანფრედ იაკობსი, ულრიკე იაკობსი,  
რალფ შოკი და უტე ვერნერი.



**მწერალთა  
სახლი**

**გერმანული ლიტერატურის დღეები  
მწერალთა სახლში**

**შეხვედრა გერმანელ ავტორებთან და  
დრამატურგებთან ზაარლანდიდან**

**მანფრედ იაკობსი  
ულრიკე იაკობსი  
რალფ შოკი  
უტე ვერნერი**

**2-4 დეკემბერი  
19:00 საათი**

მწერალთა სახლი ივ. მაჩაბლის ქ.13

## • გერმანული ლიტერატურის დღეები მწერალთა სახლში

საქართველოს კულტურის სამინისტროს პატრონაჟით მწერალთა სახლში იმართება „გერმანული ლიტერატურის დღეები“, რომლის ფარგლებში 2 დეკემბერს, 19:00 საათზე მოეწყობა შეხვედრა ცნობილ გერმანელ ავტორებთან და კინოდრამატურგებთან – მანფრედ იაკობსთან და ულრიკე იაკობსთან. 4 დეკემბერს, 19:00 საათზე, საქართველოს კულტურის სამინისტროს პატრონაჟით „გერმანული ლიტერატურის დღეების“ ფარგლებში, მწერალთა სახლში გაიმართება ფილმის ჩვენება და შეხვედრა ცნობილ გერმანელ ავტორებთან და დრამატურგებთან – რალფ შოკთან და უტა ვერნერთან.

ქართველ მკითხველს შესაძლებლობა ექნება თანამედროვე გერმანულ ლიტერატურასა და დრამატურგიას ახლო რაკურსიდან გაეცნოს.

 მწერალთა სახლი

**გერმანული ლიტერატურის დღეები  
მწერალთა სახლში**

შეხვედრა გერმანელ ავტორებთან და  
დრამატურგებთან გაარლანდიდან



მანფრედ იაკობსი და  
ულრიკე იაკობსი


**2 დეკემბერი  
19:00 საათი**

**მწერალთა სახლი  
ი3. მარაბლის ქ. 13**

 მწერალთა სახლი

**გერმანული ლიტერატურის დღეები  
მწერალთა სახლში**

შეხვედრა გერმანელ ავტორებთან და  
დრამატურგებთან გაარლანდიდან



რალფ შოკი

უტა ვერნერი

**4 დეკემბერი  
19:00 საათი**

**მწერალთა სახლი  
ი3. მარაბლის ქ. 13**

## • გერმანული ლიტერატურის დღეები მწერალთა სახლში

გერმანული ლიტერატურის დღეები მწერალთა სახლში – შეხვედრები ზაარლანდელ ავტორებთან თბილისისა და ზაარბრიუკენის დამეგობრების 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად, საქართველოს კულტურის სამინისტროს პატრონაჟით, მწერალთა სახლში გაიმართა შეხვედრა ცნობილ გერმანელ ავტორებთან და კინოდრამატურგებთან – მანფრედ იაკობსთან და ულრიკე იაკობსთან.

შეხვედრის ფარგლებში ავტორებმა ისაუბრეს მათ ერთობლივ რომანზე „საზღვრის გადამლახველი. ელიზაბეტ ლოთარინგიელი“, მისი სიუჟეტური ხაზებისა და თემატური შრეების შესახებ.

ქართველ მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა თანამედროვე გერმანულ ლიტერატურასა და კინოდრამატურგიაში მიმდინარე პროცესებს ახლო რაკურსიდან გასცნობოდა, მოესმინა ავტორების პროფესიული გამოცდილება და დაესვა შეკითხვები.

შეხვედრას მოდერაციას უწევდა საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში – ალექსანდრე კარტოზია.

„გერმანული ლიტერატურის დღეები“ მიზნად ისახავს ქართულ და გერმანულ ლიტერატურულ სივრცეებს შორის დიალოგის გაღრმავებას, გამოცდილების გაზიარებას და თანამედროვე ლიტერატურული პროცესების ხელშეწყობას.



## • მასტერკლასი გერმანულენოვანი მთარგმნელებისთვის

მწერალთა სახლში მიმდინარე მასტერკლასი გერმანულენოვანი მთარგმნელებისთვის დასასრულს უახლოვდება. 6 სექტემბერს გაიმართება მასტერკლასის ბოლო შეხვედრა, სადაც გერმანიიდან მოწვეული მთარგმნელი ჰელმუტ კუნკელი „თარგმნის თეორიის შესახებ“ ისაუბრებს. შეხვედრის დასრულების შემდეგ შეჯამდება პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა.

დღევანდელ სესიაზე მონაწილეებმა განიხილეს ნინა ზიგერის თარგმანი – აკაკი წერეთლის „პატრიოტის აღსარება“. შეხვედრის მეორე ნაწილში მთარგმნელმა ლია ვიტეკმა წაიკითხა მოხსენება თემაზე „მხატვრული თარგმანის ისტორიის სათავეები“.



# • ქართულ-გერმანული მთარგმნელობითი მასტერკლასი

გერმანულენოვან მთარგმნელებს გიწვევთ მასტერკლასში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც გაიმართება მწერალთა სახლში პირველი სექტემბრიდან ექვსი სექტემბრის ჩათვლით.

- ❑ მასტერკლასში მონაწილეობის შესაძლებლობა ეძლევათ როგორც გამოცდილ, ისე ახალბედა მთარგმნელებს.
- ❑ მასტერკლასის მონაწილეები უნდა ფლობდნენ ქართულ და გერმანულ ენებს.
- ❑ მონაწილეებს შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები ნებისმიერ ლიტერატურულ ჟანრში და მიიღონ მონაწილეობა თარგმანის განხილვა-დისკუსიებში.
- ❑ ერთი კვირის განმავლობაში მასტერკლასის მონაწილეებს მიეცემათ შესაძლებლობა დახვეწონ თავიანთი თარგმანები და გამოცდილ გერმანელ კოლეგებთან ისაუბრონ თარგმანის სპეციფიკაზე და ერთად განიხილონ პროფესიული საკითხები, თარგმნისას წამოჭრილი პრობლემები, მიიღონ კონკრეტული რჩევები.
- ❑ ამასთანავე, მასტერკლასის მონაწილეებს საშუალება მიეცემათ ადგილზე იმუშაონ ლექტორების მიერ შეთავაზებულ ტექსტებზე. სამუშაო ტექსტები და მასტერკლასის პროგრამა მონაწილეებს წინასწარ გაეგზავნებათ.
- ❑ მასტერკლასს უძღვებიან: მონიკა გერტრუდ თეესი და ჰელმუტ კუნკელი.
- ❑ სამუშაო ენა: ქართული და გერმანული.
- ❑ მასტერკლასი ჩატარდება თბილისში, საქართველოს მწერალთა სახლში (ივანე მაჩაბლის 13).



## • შეხვედრა გერმანელ მწერალ ფრიდერიკე ჰაიმანთან

9 სექტემბერს, 18:30 საათზე, მწერალთა სახლში გაიმართება შეხვედრა თანამედროვე გერმანელ მწერალ და ლიტერატურათმცოდნე ფრიდერიკე ჰაიმანთან. ფრიდერიკე ჰაიმანი წაიკითხავს პოეტ გერტრუდ კოლმარის ლექსებს და ისაუბრებს მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. გერტრუდ კოლმარის ქართულ თარგმანს დამსწრეთ გააცნობს მთარგმნელი რუსუდან ბრეგაძე.

მწერალთა სახლი

9 სექტემბერი  
18:30 2025

ფრიდერიკე ჰაიმანი  
"გერტრუდ კოლმარის ლექსები"

გერტრუდ კოლმარის  
ლიტერატურული პორტრეტი

მთარგმნელი რუსუდან ბრეგაძე

მწერალთა სახლი

ივ. მაიაკოვსკის ქ. 13

## • მასტერკლასი გერმანულენოვანი მთარგმნელებისთვის

მწერალთა სახლში გრძელდება მასტერკლასი გერმანულენოვანი მთარგმნელებისთვის.

დღევანდელ სესიაზე მონაწილეები განიხილავენ თამარ ზიგერ-პოპიაშვილის თარგმანს მიხეილ ჭავჭავაძის „მინის ყივილი“.

მომდევნო დღეებში ისინი სპეციალისტების მიერ შერჩეულ ტექსტებს თარგმნიან გერმანულ ენაზე.

მასტერკლასს ხელმძღვანელობენ გერმანიიდან მოწვეული სპეციალისტები – მონიკა გერტრუდ თეესი და ჰელმუტ კუნკელი.

მასტერკლასი მწერალთა სახლის ორგანიზებით იმართება.





# რეგიონული ფონისძიებები

- „ცოცხალი წიგნები“ აჭარაში

ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტი „ცოცხალი წიგნები“ დაბრუნდა.

პროექტი, რომლის განახლებას ლიტერატურის მოყვარული საზოგადოება თითქმის ორი წლის განმავლობაში ელოდა, კვლავ ხვდება მკითხველს.

საქართველოს რეგიონებში მოგზაურობა „ცოცხალმა წიგნებმა“ 20 აგვისტოს ზემო აჭარიდან დაიწყო



პროექტი „ცოცხალი წიგნები“ საქართველოს რვა რეგიონს ესტუმრა: ზემო და ქვემო აჭარას, სამცხე-ჯავახეთს, ზემო და ქვემო სვანეთს, რაჭა-ლეჩხუმს, საჩხერესა და ზემო იმერეთს, შიდა ქართლს, გურიასა და სამეგრელოს.







## • „ცოცხალი წიგნები“ ახალგორში

1 სექტემბერს ახალგორის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში გაიმართა მწერალთა სახლის ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტის „ცოცხალი წიგნები“ მორიგი შეხვედრა მკითხველთან.

„ცოცხალ წიგნებს“ მასპინძლობდნენ ადგილობრივი პოეტები და ლიტერატურის მოყვარული საზოგადოება.



# • „ცოცხალი წიგნები“ სვანეთში



## • ლიტერატურული პრემია „მუზა 2025“

მწერალთა სახლი აცხადებს კონკურსს ლიტერატურული პრემიის „მუზა 2025“ მოსაპოვებლად.


კონკურსის მიზნებია:

ქართული ლიტერატურის განვითარების ხელშეწყობა;  
საგამომცემლო სექტორის მხარდაჭერა;  
ხელოვანთა შემოქმედებითი საქმიანობის წახალისება;  
ქართველი ავტორების პოპულარიზაცია და ახალი, ნიჭიერი ავტორების გამოვლენა.

გამარჯვებულები გამოვლინდებიან შემდეგ საკონკურსო ნომინაციებში:

- წლის საუკეთესო რომანი;
- წლის საუკეთესო პროზაული კრებული;
- წლის საუკეთესო პოეტური კრებული;
- წლის საუკეთესო დოკუმენტური პროზა/ესეი;
- წლის საუკეთესო დებიუტი (აღმოჩენა);
- წლის საუკეთესო თარგმანი;
- წლის საუკეთესო კრიტიკა/რეცენზია;
- წლის საუკეთესო პიესა/ინსცენირება;
- წიგნის საუკეთესო დიზაინი;
- წლის საუკეთესო ინოვაციური ლიტერატურული პროექტი;
- ჭილდო ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.







## • კონფერენცია - „მერაბ მამარდაშვილი და ლიტერატურა“

მწერალთა სახლში დღეს დაიწყო სამეცნიერო კონფერენცია „მერაბ მამარდაშვილი და ლიტერატურა“, რომელიც დიდი ქართველი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის დაბადებიდან 95 წლისთავის აღსანიშნავად იმართება. კონფერენციის მიზანია მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფიური მემკვიდრეობის ახალი კვლევითი კუთხით გააზრება და პოპულარიზაცია, განსაკუთრებით ახალგაზრდებში.

ღონისძიებაში მონაწილეობს 23 მეცნიერ-მკვლევარი, მათ შორის ხუთი უცხოელი მომხსენებელი. ისინი თავიანთ ნაშრომებში იკვლევენ მამარდაშვილის ფილოსოფიის სხვადასხვა ასპექტს – მისი ლიტერატურული ხედვიდან და ჰუმანისტური მსოფლმხედველობიდან დაწყებული, თანამედროვე საზოგადოებრივ და კულტურულ კონტექსტში მისი იდეების მნიშვნელობით დამთავრებული.





# ადგილობრივი ფონისძიებები

## • „მერაბ მამარდაშვილი და ლიტერატურა“

15-16 სექტემბერს დიდი ქართველი ფილოსოფოსის, მერაბ მამარდაშვილის დაბადებიდან 95 წლისთავის აღსანიშნავად, საქართველოს მწერალთა სახლში გაიმართება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „მერაბ მამარდაშვილი და ლიტერატურა“.

მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფია, რომელიც დღემდე აქტუალურია თანამედროვე ევროპულ და მსოფლიო აზროვნებაში, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ახალგაზრდა მკვლევართა შორის.

კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს 23 მეცნიერ-მკვლევარი, მათ შორის ხუთი უცხოელი მომხსენებელი იტალიიდან და რუსეთიდან.

კონფერენციის მიზანია მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფიის კვლევა და პოპულარიზაცია, განსაკუთრებით ახალგაზრდებში.

მწერალთა სახლი ხელს უწყობს ახალგაზრდა მკვლევართა ჩართულობას; ისინი მოხსენებებს წარადგენენ გამოცდილ და ღვაწლმოსილ მეცნიერთა გვერდით.

2026 წლის დასაწყისში გამოიცემა კონფერენციის ფარგლებში შექმნილი სამეცნიერო ნამუშევართა საიუბილეო კრებული, რომელიც ხელს შეუწყობს მამარდაშვილის ფილოსოფიის კიდევ უფრო ფართო პოპულარიზაციას.



# • საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „მამარდაშვილი და ლიტერატურა“



მწერალთა  
სახლი

**ექვსეუბა მერაბ მამარდაშვილის  
95 წლისთავს**

**15-16 სექტემბერი 2025**  
**საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია**  
**„მამარდაშვილი და ლიტერატურა“**

ოთარ ჭულუხაძე – ფილოსოფოსი

გიორგი ბაღათურია – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

ოთარ ბაღათურია – სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ზაზა შათირიშვილი – ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

კსენია გოლუბოვიჩი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მწერალი,  
მთარგმნელი, პოეტი

მირიან გუნია – ფილოსოფიის დოქტორანტი (ახალი საქართველოს უნივერსიტეტი)

ლევან გიგინეიშვილი – ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

რევაზ ჯავახიძე – სტუდენტი, III კურსი (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი)

ციცინო ძონენიძე – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გვანცა ბეჟაური – სტუდენტი, II კურსი, ფილოსოფია და კომუნიკაცია (საქართველოს  
საერთაშორისო უნივერსიტეტი)

თეონა ლეჟავა – საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო  
უსაფრთხოების მაგისტრი (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი)

ანდრეი პარამონოვი – ფილოსოფიის დოქტორი



## • აფხაზეთის დღეები

დღეს, 27 სექტემბერს, მწერალთა სახლში, აფხაზეთის დღეების ფარგლებში, გაიმართა ახალგაზრდა მკვლევარ ლუკა ჭღარკავას წიგნის „აფხაზეთის აზნაურთა საგვარეულოები“ და ვაჩე რაინდელის წიგნის – „ენგურის ორი ნაპირი“ პრეზენტაციები.

ლუკა ჭღარკავას მიერ შესწავლილი ათი გვარი საქართველოს უმშვენიერესი კუთხის – აფხაზეთის წარსულში გვამოგზაურებდა, ხოლო ვაჩე რაინდელმა თანამედროვე აფხაზეთი დაგვანახა.

ორი ახალგაზრდა ავტორის წიგნებს ბევრი გულშემატკივარი და შემფასებელი გამოეხმაურა. მათ შორის იყვნენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრები, ისტორიკოსები, ლიტერატორები და აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოება. ღონისძიებას უძღვებოდა მწერალი ნანა ქარდავა.



## • სპარტაკ ცინცაძის საიუბილეო შემოქმედებითი საღამო

მწერალთა სახლში გაიმართა 60-იანელთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, საქართველოს დამსახურებული მხატვრის სპარტაკ ცინცაძის საიუბილეო შემოქმედებითი საღამო, ხელოვანის ალბომის წარდგენა და გამოფენა.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ: გამომცემელი კახა რუსიძე, ხელოვნებათმცოდნე მარიამ გაჩეჩილაძე, მხატვარი, დიზაინერი ნინო ჯიშკარიანი, ფილოლოგი, რედაქტორი მანანა სანადირაძე და მხატვარი, ხატმწერი ირაკლი ცინცაძე. საუბრები შეეხო მხატვრის მრავალწლიან საქმიანობას, განსაკუთრებით კი იმ პერიოდს, როდესაც ის გამომცემლობა „მერანში“ მუშაობდა.

წარდგენილ ალბომში თავმოყრილია სპარტაკ ცინცაძის გამორჩეული ნამუშევრები, ხელოვნებათმცოდნეთა შეფასებები და იშვიათი ფოტომასალა, რომელიც მკითხველს საშუალებას აძლევს უფრო ახლოს გაიცნოს მხატვრის მრავალფეროვანი სამყარო.



## • კაოლო იაშვილის ხელნაწერი ლექსი

მაჩაბლის 13-ში საქართველოს ეროვნული გმირის როსტომ მუსხელიშვილის შთამომავალი (შვილიშვილი) – გოგი მუსხელიშვილი გვესტუმრა, რომელმაც მწერალთა სახლის მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა კაოლო იაშვილის ხელნაწერი ლექსი. როგორც ბატონმა გოგიმ ბრძანა, პოეტმა ლექსი უძღვნა მის ბებიას – ქალბატონ ელისაბედ ახვლედიანს.

გოგი მუსხელიშვილმა ისაუბრა თავისი წინაპრების როლზე საქართველოს ისტორიაში. კერძოდ როსტომ მუსხელიშვილის მოღვაწეობაზე, რომელიც საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა, მსახურობდა საქართველოს წითელ არმიაში – იყო დივიზიის შტაბის უფროსი, ამავდროულად, მოღვაწეობდა ანტისაბჭოთა იატაკქვეშა წინააღმდეგობის მოძრაობაში.

ასევე, როსტომ მუსხელიშვილს ეკუთვნოდა 1922 წლის დუშეთის მაზრის აჯანყების ცნობილი გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა წითელი არმიის მთიულეთში შეტყუებას და იქ მის სრულ განადგურებას.



## • დავით სარაჯიშვილის სახელობის მუზეუმი

მწერალთა სახლი დავით სარაჯიშვილის დაბადების 177-ე წლისთავთან დაკავშირებით 8-9 ნოემბერს მუზეუმში ვიზიტორებისთვის სპეციალურ ტურებს ჩაატარებს.

დღეს მწერალთა სახლის მუზეუმში უამრავ სტუმარს ვუმასპინძლეთ. მუზეუმი დამთვალიერებლებს 9 ნოემბერსაც მიიღებს.




## • მამუკა სალუქვაძე – 70

1 დეკემბერს, 18:00 საათზე, მწერალთა სახლში გაიმართება ცნობილი ქართველი მწერლის – მამუკა სალუქვაძის 70 წლის საიუბილეო საღამო. ღონისძიებაზე ქართული საზოგადოება, ლიტერატურული წრეები და მოწვეული სტუმრები მწერლის ცხოვრების, შემოქმედებისა და მრავალმხრივი მემკვიდრეობის გაცოცხლებასა და შეფასებას ეზიარებიან.

საღამოზე წარმოდგენილი იქნება მამუკა სალუქვაძის არქივის მრავალფეროვანი ექსპოზიცია: წიგნები, პუბლიკაციები, ხელნაწერები, ფოტომასალა, ჩანახატები, პიესების აფიშები, მის მიერ გამოცემული გაზეთებისა და სხვადასხვა პროექტის ნიმუშები.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართება რეჟისორ ქეთევან-ხათუნა ბედელაძის მიერ დადგმული პიესა, რომელშიც მონაწილეობენ ახალგაზრდა მსახიობები: ფიქრია ნიქაბაძე, გიორგი გოგუაძე (გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრი), ანა ლევენეცი, გიორგი გელაშვილი და კოკო შაბურიშვილი. ასევე ნაჩვენები იქნება მამუკა სალუქვაძის მიერ გადაღებული ფილმი „უკანასკნელი ფოთოლი“ (ო. ჰენრი).

სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ მწერლის მემორიალურ ფოტო-ვიდეოარქივს და ხმოვან ჩანაწერებს, ხოლო საღამოს მუსიკალურად ინოლა გურგულიას სიმღერები დაამშვენებს.



## • მამუკა სალუქვაძე – 70

1 დეკემბერს, მწერალთა სახლში შესანიშნავი მწერლის, მსახიობის, რეჟისორის, მთარგმნელის, რედაქტორის – მამუკა სალუქვაძის დაბადებიდან 70 წლის საიუბილეო და ხსოვნის სადამო გაიმართა.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო მამუკა სალუქვაძის (1955-1997) არქივის მრავალფეროვანი ექსპოზიცია: წიგნები, პუბლიკაციები, ხელნაწერები, ფოტომასალა, ჩანახატები, პიესების აფიშები, მის მიერ გამოცემული გაზეთებისა და სხვადასხვა პროექტის ნიმუშები. ავტორის შემოქმედებაზე ისაუბრეს მწერლებმა – გიორგი ლობჯანიძემ, მაკა ჭოხაძემ და სხვა მოწვეულმა სტუმრებმა. მათ გაიხსენეს მამუკა სალუქვაძის გამოჩენა ლიტერატურულ ასპარეზზე და ისაუბრეს მისი პიროვნებისა და შემოქმედების მრავალმხრივ მნიშვნელობაზე.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა რეჟისორ ქეთევან-ხათუნა ბედელაძის მიერ დადგმული პიესის ჩვენება, რომელშიც მონაწილეობდნენ ახალგაზრდა მსახიობები: ფიქრია ნიქაბაძე, გიორგი გოგუაძე (გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრი), ანა ლევენეცი, გიორგი გელაშვილი და კოკო შაბურიშვილი.

სადამოს მნიშვნელოვანი ნაწილი იყო მამუკა სალუქვაძის მიერ გადაღებული ფილმის „უკანასკნელი ფოთოლი“ ჩვენება. სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ მწერლის მემორიალურ ფოტო-ვიდეოარქივს და ხმოვან ჩანაწერებს, ხოლო სადამოს მუსიკალურად იწოლა გურგულიას სიმღერები ამშვენებდა.



## • **შეხვედრების სერია – „პარასკევის საღამოები“**

მწერალთა სახლში იწყება ლიტერატურული შეხვედრების სერია – „პარასკევის საღამოები“.

ყოველ პარასკევს, 19:00 საათზე, პოეზიითა და პროზით დაინტერესებულ მკითხველს ექნება შესაძლებლობა შეხვდეს საინტერესო ავტორებს და გაიცნოს მათი შემოქმედება.

„პარასკევის საღამოები“ „ლიტერატურული გაზეთისა“ და მწერალთა სახლის ერთობლივი პროექტის – „ახალი სახელები“ ერთგვარი სახეცვლილებაა, რომელიც კვლავ „ლიტერატურულ გაზეთთან“ თანამშრომლობით გრძელდება.

ლიტერატურული შეხვედრები არა მხოლოდ ახალი სახელების აღმოჩენის ადგილი იქნება – აქ შეხვდებით უკვე ცნობილ და თქვენთვის საყვარელ ავტორებსაც, რომელთა შემოქმედება ბევრისთვის უკვე ნაცნობი და ახლობელია.

ეს შეხვედრები მნიშვნელოვან პლატფორმას შექმნის როგორც იმ ახალგაზრდა ავტორებისთვის, რომლებიც ახლა იკვლევენ შემოქმედებით გზას, ასევე მათთვის, ვისაც უკვე ჰყავს საკუთარი მკითხველი და აუდიტორია.

მკითხველისთვის „პარასკევის საღამოები“ განსაკუთრებით ღირებული იქნება – აქ გაიცნობთ ახალ სახეებს, რომლებიც მალე ლიტერატურულ სივრცეში აქტიურად გამოჩნდებიან, შეხვდებით თქვენს საყვარელ ავტორებს, მოისმენთ პოეზიას და პროზას, დასვამთ შეკითხვებს და იმსჯელებთ თანამედროვე ლიტერატურულ ტენდენციებზე.

შემოდგომის პირველ შეხვედრაზე, 17 ოქტომბერს მკითხველის წინაშე წარდგებიან პოეტები – ცირა ოქროპირიძე და ლევან გველესიანი.

• შეხვედრების სერია – „პარასკევის საღამოები“



ჯირა  
ქოროშირიძე  
- პოეტი



17 ოქტომბერი  
19:00

პარასკევის  
საღამოები

ივ. მაჩაბლის ქ. 13



ნია  
სულაბერიძე  
- პოეტი



21 ნოემბერი  
19:00

პარასკევის  
საღამოები


ივ. მაჩაბლის ქ. 13




ლევან  
გვათესიანი  
- პოეტი



მაია მინდელი  
- პოეტი





## • „არა-კი“ ლიტერატურული პროექტი

14-15-16 ნოემბერს კახეთის ერთ-ერთ ყველაზე დიდ და ლამაზ სოფელ შილდაში მწერალთა სახლის და საერთაშორისო კულტურის სივრცის ორგანიზებით სამდღიანი ლიტერატურული მარათონი – „არა-კი“ გაიმართება.

„არა-კი“ – ლიტერატურული კონკურსია, სადაც ძველი ისტორიები, ლეგენდები, თქმულებები ახალ სიტყვაში გაცოცხლდება. „არა-კი“ მწერალთა სახლის პროექტია, რომლის მიზანია 10 მონაწილე ავტორის – პოეტებისა და პროზაიკოსების მიერ ისტორიულ-მხატვრულ ეპიზოდებზე დაყრდნობით შექმნილი 2025 წლის საუკეთესო ნოველების გამოვლენა. მარათონი აერთიანებს სემინარებს, სამუშაო შეხვედრებსა და დისკუსიებს.

ადგილმდებარეობა: ისტორიული კომპლექსი „წინაპარი“, სოფელი შილდა.



## • „არა-კი“ ლიტერატურული პროექტი

14-15-16 ნოემბერს კახეთის ერთ-ერთ ყველაზე დიდ და ლამაზ სოფელ შილდაში მწერალთა სახლის და საერთაშორისო კულტურის სივრცის ორგანიზებით სამდღიანი ლიტერატურული მარათონი – „არა-კი“ გაიმართება.

„არა-კი“ მწერალთა სახლის პროექტია, რომლის მიზანია 10 მონაწილე ავტორის – პოეტებისა და პროზაიკოსების მიერ ისტორიულ-მხატვრულ ეპიზოდებზე დაყრდნობით შექმნილი 2025 წლის საუკეთესო ნოველების გამოვლენა.

პროექტში მონაწილეობას მიიღებს „არა-კის“ ჟიურის და მწერალთა სახლის მიერ საგანგებოდ შერჩეული 10 ავტორი:

ნინო გუგეშაშვილი

ირმა ბერიძე

გიორგი გელაშვილი

მორის როსტიაშვილი

ნატა ვარადა

სალომე ტაბატაძე

ქეთი გაბინაშვილი

ქეთო დავითური

სოფო დაუშვილი

გვანცა ფიფია

პროექტის ხელმძღვანელი: პროზაიკოსი, დრამატურგი ბაჩო კვირტია.

პროექტის მენტორები:

მწერალი, სცენარისტი კოტე ჯანდიერი;

დრამატურგი, პროზაიკოსი ირაკლი სამსონაძე.



## • „არა-კი“ ლიტერატურული პროექტი

14 ნოემბერს, კახეთში, სოფელ შილდაში მდებარე ისტორიულ კომპლექსში „წინაპარი“, სტარტი აიღო მწერალთა სახლის ლიტერატურულმა მარათონმა „არა-კი“.

პროექტის ხელმძღვანელმა, მწერალმა ბაჩო კვირტიამ, და პროექტის მენტორებმა – მწერლებმა კოტე ჯანდიერმა და ირაკლი სამსონაძემ კონკურსანტებს მარათონის დავალება გააცნეს – სამი თემა, სამი ერთგვარი ფორმულა, რომელთაგან მონაწილეები ერთ-ერთს აირჩევენ და იმუშავენ 48 საათის განმავლობაში.

1. „არაკებს გეტყვი ბევრსაო...“
2. „როდესაც ასე ახლოა გრემი...“
3. მტრედის საკენკი



## • „არა-კი“ ლიტერატურული პროექტი

მწერალთა სახლის ლიტერატურული მარათონი „არა-კი“.  
კახეთი, სოფელი შილდა, ისტორიული კომპლექსი „წინაპარი“.  
15 ნოემბერი, დღე მეორე.

სამუშაო შეხვედრა და კონკურსანტების მუშაობის პროცესი  
თხზულებებზე.

მარათონში მონაწილეობს მწერალთა სახლის მიერ  
შერჩეული 10 ავტორი:

ნინო გუგეშაშვილი  
ირმა ბერიძე  
გიორგი გელაშვილი  
მორის როსტიაშვილი  
ნატა ვარადა  
სალომე ტაბატაძე  
ქეთი გაბინაშვილი  
ქეთო დავითური  
სოფო დაუშვილი  
გვანცა ფიფია



## • „არა-კი“ ლიტერატურული პროექტი

14–15–16 ნოემბერს კახეთის ერთ-ერთ ყველაზე დიდ და ლამაზ სოფელში შილდაში მწერალთა სახლისა და საერთაშორისო კულტურის სივრცის ორგანიზებით, სამდღიანი ლიტერატურული მარათონი „არა-კი“ გაიმართა.

პროექტის ხელმძღვანელმა, მწერალმა ბაჩო კვირტიამ, და მენტორებმა — მწერლებმა კოტე ჯანდიერმა და ირაკლი სამსონაძემ მონაწილეებისთვის სპეციალური დავალება განსაზღვრეს: სამი განსხვავებული თემა, სამი ერთგვარი „ფორმულა“, რომლის ფარგლებში ავტორებს ექსპერიმენტისა და შემოქმედებითი თავისუფლების შესაძლებლობა ჰქონდათ. მონაწილეებმა ერთ-ერთი აირჩიეს და ორი დღის განმავლობაში თავიანთ ნოველებზე ინტენსიურად იმუშავეს.

დავალებები იყო:

1. „არაკებს გეტყვი ბევრსაო...“
2. „როდესაც ასე ახლოა გრემი...“
3. „მტრედის საკენკი“

დასრულებული ტექსტები ავტორებმა ჟიურის გადასცეს. ნამუშევრების განხილვის შემდეგ შედეგები გამოქვეყნდება მწერალთა სახლის სოციალურ ქსელებსა და ვებ-გვერდზე, სადაც მონაწილეთა ნოველებიც განთავსდება.

„არა-კი“ მწერალთა სახლის პროექტია, რომლის მიზანია 10 მონაწილე ავტორის — პოეტებისა და პროზაიკოსების — მიერ ისტორიულ-სიუჟეტურ ეპიზოდებზე დაყრდნობით შექმნილი 2025 წლის საუკეთესო ნოველების გამოვლენა.

პროექტი ერთგვარი შემოქმედებითი გამოწვევაა, სადაც როგორც ახალგაზრდა, ისე გამოცდილ ავტორებს შესაძლებლობა ეძლევათ, ისტორია ახალი ფორმით მოჰყვნენ და საკუთარი ხელწერა კიდევ უფრო გამოკვეთონ.

## • მსოფლიო ლიტერატურის კურსი

2 ოქტომბრიდან მწერალთა სახლში იწყება მსოფლიო ლიტერატურის კურსის შეხვედრები ფილოლოგ ლევან გიგინეიშვილის ხელმძღვანელობით.

კურსი მოიცავს ლექციათა ციკლს, რომელიც მსოფლიო მწერლების კლასიკურ ნამუშევრებს და მათ ეპოქებს ეხება.

მისი მიზანია ახალგაზრდებს ჩამოუყალიბოს ფართო ხედვა მსოფლიო ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებებისა და იმ ისტორიულ-კულტურული კონტექსტის შესახებ, რომელ ეპოქებშიც ეს ნიგნები შეიქმნა.

ლექციების სია მოიცავს ისეთ კლასიკურ ტექსტებს, როგორებიცაა:

1. მარკ ტვენი – „ჰეკლბერი ფინი“
2. ჯოზეფ კონრადი – „წყვდიადის გულში“
3. უილიამ ფოლკნერი – „გვამის შემგინებელი“
4. ლევ ტოლსტოი – „ივან ილიჩის სიკვდილი“
5. ფრიდრიხ დიურენმატი – „ავარია“
6. გურამ დორიანაშვილი – „ვატერპოლო ანუ აღდგენითი სამუშაოები“
7. ხორხე ლუის ბორხესი – „მიახლოება ალ მუტასიმთან“
8. ჰერმან ჰესე – „სიდჰარტა“
9. ალბერ კამიუ – „უცხო“
10. პერ ლაგერკვისტი – „ბარაბა“



მწერალთა სახლი

**მწერალთა სახლში იწყება მსოფლიო ლიტერატურის კურსის შეხვედრები ფილოლოგ ლევან გიგინეიშვილის ხელმძღვანელობით**

მწერალთა სახლი

ივ. მაიაკოვის ქ. 13

## • მსოფლიო ლიტერატურის კურსი

დღეს მწერალთა სახლში დაიწყო მსოფლიო ლიტერატურის კურსის შეხვედრები, რომელსაც ფილოლოგი და ფილოსოფოსი ლევან გიგინეიშვილი უძღვება.

▪ კურსი განკუთვნილია მოზარდებისთვის, სტუდენტებისა და ლიტერატურით დაინტერესებული ადამიანებისთვის. იგი მოიცავს ლექციათა ციკლს, რომელიც მსოფლიო მწერლების კლასიკურ ნამუშევრებსა და მათ ეპოქებს ეხება.



## • მსოფლიო ლიტერატურის კურსი

მწერალთა სახლში დასრულდა მსოფლიო ლიტერატურის კურსის შეხვედრები.


კურსს ფილოლოგი ლევან გიგინეიშვილი უძღვებოდა.

კურსი აერთიანებდა ლექციათა ციკლს, რომელიც მსოფლიოს მწერლების გამორჩეულ კლასიკურ ტექსტებს მოიცავდა.

პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდებისთვის იმ მნიშვნელოვანი ტექსტებისა და ისტორიულ-კულტურული კონტექსტების გაცნობა, რომელ ეპოქებშიც ესა თუ ის ნაწარმოები დაიწერა.

ლექციების სია მოიცავდა ისეთ კლასიკურ ტექსტებს, როგორებიცაა: მარკ ტვენი – „პეკლბერი ფინი“, ჯოზეფ კონრადი – „წყვდიადის გულში“, უილიამ ფოლკნერი – „გვამის შემგინებელი“, ლევ ტოლსტოი – „ივან ილიჩის სიკვდილი“, ფრიდრიხ დიურენმატი – „ავარია“, გურამ დოჩანაშვილი – „ვატერპოლო ანუ აღდგენითი სამუშაოები“, ხორხე ლუის ბორხესი – „მიახლოება ალ მუტასიმთან“, ალბერ კამიუ – „უცხო“ და სხვ.

ლექციები ტექსტის ანალიზით, ინტენსიური დისკუსიებით და თითოეული ნაწარმოებისთვის დამახასიათებელი ფილოსოფიური თემების განხილვით მიმდინარეობდა.



## • ირაკლი სამსონაძის „დრამატურგიის სახელოსნო“

4 ნოემბრიდან მწერალთა სახლში პროექტი - ირაკლი სამსონაძის „დრამატურგიის სახელოსნო“ იწყება.

როგორ ავაგოთ ამბავი? რა პროცესს გადის ის, სანამ დასრულებულ სახეს მიიღებს? რატომ არის ამბის თხრობა მნიშვნელოვანი და რა საფეხურები უნდა განვლოს იმისათვის, რათა აუდიტორიისთვის დასამახსოვრებელი და საინტერესო გახდეს? - ეს არის შეკითხვები, რომლებიც ამბის აგების ურთულეს პროცესში ხშირად დაისმის.

ექსპოზიცია, კვანძის შეკვრა, კულმინაცია, კვანძის გახსნა და ფინალი - ეს ის საფეხურებია, რომლებიც ამბის გადმოცემისას მნიშვნელოვანია. სწორედ ამბის თხრობასა და აგების პროცესებზე ისაუბრებს დრამატურგი, მწერალი, ირაკლი სამსონაძე მწერალთა სახლის საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში - „დრამატურგიის სახელოსნო“.



- ირაკლი სამსონაძის „დრამატურგიის სახელოსნო“

მწერალთა სახლში ირაკლი სამსონაძის დრამატურგიის სახელოსნოს პირველი შეხვედრა გაიმართა.

მწერალი და დრამატურგი ირაკლი სამსონაძე სახელოსნოს მონაწილეებს კურსის თემატიკასა და მიზნებზე ესაუბრა, გაუზიარა სამომავლო გეგმა და მისცა დავალებები მომდევნო ლექციებისთვის.



## • ირაკლი სამსონაძის „დრამატურგიის სახელოსნო“

მწერალთა სახლში გრძელდება საგანმანათლებლო პროექტი – ირაკლი სამსონაძის „დრამატურგიის სახელოსნო“.

შეხვედრაზე ირაკლი სამსონაძემ მსმენელებს თანამედროვე პიესები გააცნო, რომლებიც შემდეგ მათთან ერთად განიხილა. ლექციების ფარგლებში მონაწილეები იღებენ როგორც კითხვით, ასევე საწერ დავალებებს, რაც ეხმარებათ დრამატურგიული ნაწარმოების წერის უნარების განვითარებაში.

ექსპოზიცია, კვანძის შეკვრა, კულმინაცია, კვანძის გახსნა და ფინალი – წერის პროცესის ის ცენტრალური საფეხურებია, რომელთა მნიშვნელობაზე დრამატურგი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას. სწორედ ამბის თხრობისა და ნარატივის აგების მთავარ პრინციპებზე საუბრობს ირაკლი სამსონაძე ლექციის განმავლობაში.

კურსის შეხვედრები ტარდება ყოველ სამშაბათს, 17:00 საათზე და მოიცავს 12 ლექციას.



# • ნინო ქადაგიძის შემოქმედებითი სახელოსნო

დღეს მწერალთა სახლში ნინო ქადაგიძის სახელოსნოს ლიტერატურული შეხვედრები გაიხსნა.

პირველი შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო – ნინომ ბავშვებს კურსის შესახებ უამბო, განუმარტა, როგორი გაკვეთილები ელოდებათ მწერალთა სახლის ლიტერატურულ სახელოსნოში.



## • ლიტერატურული პრემია ნოველის ჟანრში – „ერთხელ...“

მწერალთა სახლი აწესებს ერლომ ახვლედიანის სახელობის ლიტერატურულ პრემიას ნოველის ჟანრში – „ერთხელ...“

კონკურსი ყოველწლიურია და მასში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს.

კონკურსში გამარჯვებულები გამოვლინდებიან 2 ნომინაციაში:

„რჩეული ნოველა“

„რჩეული დებიუტი“

ლაურეატებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო:

„რჩეული ნოველა“ – 3 000 ლარი

„რჩეული დებიუტი“ – 2 000 ლარი




## • ლიტერატურული კონკურსი – „მეოცნება ნიამორები“

მწერალთა სახლი და ფონდი „ცისფერყანწელთა ხსოვნისათვის“ ცისფერყანწელთა სახელობის პრემიის მოსაპოვებლად აცხადებენ ლიტერატურულ კონკურსს „მეოცნება ნიამორები“.

კონკურსის მიზანია შექმნას კიდევ ერთი პლატფორმა, სადაც თანამედროვე ავტორები შეძლებენ წარმოაჩინონ საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალი.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ მსურველს.  
გამარჯვებულები გამოვლინდებიან 3 ნომინაციაში:  
მინიატიურული პროზა  
პოეზია (სონეტი)  
„ქაიანური“ (ლიტერატურული სანახაობა)





ბლოგები

# • ბლოგები

მწერალთა სახლი



კრიტიკა  
ესეისტიკა  
პუბლიცისტიკა  
რეცენზია  
პორტრეტი  
ინტერვიუ

თამარულა წოწოშია —  
„გავესწორებდეთ ხევსურეთს“  
- თეია ჭინჭარაულის „მეძახურას“ გეგმ

მწერალთა სახლი



კრიტიკა  
ესეისტიკა  
პუბლიცისტიკა  
რეცენზია  
პორტრეტი  
ინტერვიუ

ოთარ ჭულუხაძე  
„მამარდაშვილი — ფილოსოფია გზამკვლევა“

მწერალთა სახლი



კრიტიკა  
ესეისტიკა  
პუბლიცისტიკა  
რეცენზია  
პორტრეტი  
ინტერვიუ

მაია ჯალიაშვილი  
„დუმილის ენა და მომონებათა სივრცე“  
(დენიზ უტლუს რომანი  
„ელარასოდეს იქნები მარტო, მაეა“)

მწერალთა სახლი



კრიტიკა  
ესეისტიკა  
პუბლიცისტიკა  
რეცენზია  
პორტრეტი  
ინტერვიუ

რევაზ ჯიქვაშვილი  
„პიროვნება და ენობრივი ველის მნიშვნელობა  
მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფიაში“




**განმცემები**

## • ნატო კორსანტიას წიგნი – „გალაკტიონი, ზღვა და აფხაზეთი“

გამომცემლობებისთვის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, მწერალთა სახლმა გამოსცა ცნობილი ჟურნალისტისა და მწერლის ნატო კორსანტიას წიგნი – „გალაკტიონი, ზღვა და აფხაზეთი“.

კრებული ასახავს გალაკტიონის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას აფხაზეთისა და აფხაზი ხალხისადმი. წიგნში თავმოყრილია ცნობილი ადამიანების მოგონებები, გალაკტიონის აფხაზეთისა და ზღვისადმი მიძღვნილი ლექსები, დღიურები, უბის წიგნაკები და ჩანაწერები, სოხუმში სახლის მშენებლობის დამქანცველი ქრონოლოგია, გალაკტიონის აფხაზეთში გადაღებული ფოტოები, მისი ხელნაწერები და ჩანახატები აფხაზეთსა და ზღვაზე.

წიგნის თემატიკა მკითხველს კიდევ ერთხელ დააფიქრებს ომსა და მის დამანგრეველ შედეგებზე, რომელმაც შეიწირა ისეთი კეთილგანწყობილი ურთიერთობები, როგორიც გალაკტიონს და არაერთ სხვა ქართველ შემოქმედს აკავშირებდა აფხაზ ხალხთან. ამ კუთხით, ვფიქრობთ, თავისი წილი პასუხისმგებლობა და დატვირთვა აკისრია მწერლობას, რადგან წიგნის ზეგავლენა ადამიანების ცნობიერებასა და აზროვნებაზე განუზომლად დიდია.



- გურამ ოდიშარიას რომანი „სათვალღიანი ბომბი“

მწერალთა სახლის ხელშეწყობით, ჰოლანდიურად ითარგმნა და გამოცემლობა U2pi BV-ის მიერ დაიბეჭდა გურამ ოდიშარიას რომანი „სათვალღიანი ბომბი“.

მთარგმნელი: არჩილ ჯავახიძე



## • პოეტური კრებული - „მოენყინა სულს“

ლიტერატურის მკვლევრისა და პოეტის ლერი ალიმონაკის 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მწერალთა სახლის ხელშეწყობით გამოიცა პოეტური კრებული - „მოენყინა სულს“, რომელიც მოიცავს მის პოეტურ ნააზრევს 1979 წლიდან 2022 წლის ჩათვლით.

მკითხველი კარგად იცნობს როგორც ლერი ალიმონაკის პოეზიას, ასევე კვლევებს ტერენტი გრანელისა და მისი შემოქმედების შესახებ. აქვე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს სახელოვანი მოღვაწის წვლილი თარგმანის მიმართულებით - ლაო ძის უძველესი ჩინური თხზულება „დაო დე ძინი“ (ქართული თარგმანი პირველად 1983 წელს გამოიცა) და ძველინდური რელიგიურ-ფილოსოფიური „უპანიშადები“.

პოეტური კრებულის - „მოენყინა სულს“ - რედაქტორია მანონ ბულისკერია.

## ლერი ალიმონაკი მოენყინა სულს

7,13

„შევედით იწროისაგან ბჭისა, რამეთუ ვრცელ არს ბჭე და ფართო არს გზამ, რომელსა მოჰყავს წარსანყმედელად, და მრავალნი ვლენან მას ზედა.“

14

ვითარ-იგი იწრო არს ბჭე და საჭირველ გზამ, რომელი მოიყვანებს ცხოვრებასა, და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოებენ მას“.

მათე



## • გიორგი ლორთქიფანიძის მოთხრობების კრებული

მწერალთა სახლის ხელშეწყობით გამოიცა გიორგი ლორთქიფანიძის მოთხრობების კრებული, სადაც შესულია მწერლის 5 მოთხრობა:

„ქაღალდმერთი ნიკე“, „ბოლო“, „რეციდივისტი“, „ლიქვორეა“ და „ხედი“. წიგნის გამოცემას, სამწახაროდ, ავტორი ვერ მოესწრო, თუმცა მისი შემოქმედება აუცილებლად იპოვის გზას მკითხველთა გულებისკენ.

წიგნის რედაქტორია ნინო დეკანოიძე, ხოლო დიზაინი ნინო ჭიშკარიანს ეკუთვნის.





# თარგმანები

- **ერლომ ახვლედიანის კრებული – „ამბავი კაცისა, თავი რომ დაკარგა“**


მწერალთა სახლის ხელშეწყობით ბერძნულად ითარგმნა და გამომცემლობა Vakxikon Publications-ის მიერ დაისტამბა ერლომ ახვლედიანის მოთხრობების კრებული – „ამბავი კაცისა, თავი რომ დაკარგა“.

მთარგმნელი: დიმიტრის ცეკურასი.










- გივი ალხაზიშვილის პოეტური კრებული - „დუმილის ექო“

მწერალთა სახლის ხელშეწყობით, ფრანგულ ენაზე ითარგმნა და გამომცემლობა Les Carnets du Dessert de Lune-ის მიერ დაისტამბა გივი ალხაზიშვილის პოეტური კრებული „დუმილის ექო“.





# დაბადების დღეები და მნიშვნელოვანი თარიღები





# გეაგლობთ ყურადღებობისთვის